ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა

და გაწვევის სამსახურის მიერ განვლილ პერიოდში ჩატარებული მუშაობის

ა ნ გ ა რ ი შ ი

მოგახსენებთ, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური თავის მუშაობას წარმართავს საქართველოს კანონის ,, სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ '' და აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტისა და 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ,, სამხედრო აღრიცხვის შესახებ დებულების '' შესაბამისად.

2019 წლის განვლილ პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულებიდან სასწავლო დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან და წარმოებებიდან, სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად წარმოდგენილი სიების მიხედვით მოხდა 16 წელს მიღწეული ჭაბუკების აყვანა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე,საერთო ჯამით 122 ჭაბუკის. შეიქმნა თითოეულ მათგანზე პირადი საქმეები.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 28 იანვრის #12 დადგენილებისა და მუნიციპალიტეტის მერიის 05.02. 2019 წლის #49 206 ბრძანების საფუძველზე 2019 წლის 1 თებერვლიდან 29 ივნისამდე მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურმა აწარმოა მოქალაქეთა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის სანხედრო სამსახურს 2019 წლის საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში სახელმწიფო გეგმა-დავალებით განუსაზღვრა 19 წვევამდელის ჩარიცხვა საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სამხედრო დანაყოფებში.

ჩატარებული მუშაობის შედეგად მოხდა სამხედრო სამსახურის მიერ გამწვევ კომისიაზე 138 წვევამდელის გამოცხადება. აქედან კანონის 29-ე მუხლის საფუძველზე სამხედრო სამსახურის ვალდებულებისგან განთავისუფლდა 2 წვევამდელი. გადავადება 30-ე მუხლის საფუძველზე მიიღო 119-მა წვევამდელმა. 19 წვევამდელი ჩაირიცხა საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა დანაყოფებში. მათ შორის (თავდაცვაში ჩაირიცხა 10 წვევამდელი, სუს 2 წვევამდელი , შსს (გდდ) 6 წვევამდელი , შსს (ოდდ) 1 წვევამდელი.)

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 05 აგვისტოს #360 დადგენილებისა და მუნიციპალიტეტის მერიის 2019 წლის 15 აგვისტოს #49 1311 ბრძანების საფუძველზე 2019 წლის 15 აგვისტოდან 28 დეკემბრამდე მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურმა აწარმოა მოქალაქეთა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურს 2019 წლის საშემოდგომო გაწვევის პერიოდში სახელმწიფო გეგმა-დავალებით განესაზღვრა 18 წვევამდელის ჩარიცხვა საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სამხედრო დანაყოფებში.

ჩატარებული მუშაობის შედეგად მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურმა საშემოდგომო გაწვევის განვლილ პერიოდში მოახდინა რაიონულ გამწვევ კომისიაზე 110 წვევამდელის გამოცხადება. აქედან კანონის 29-ე მუხლის საფუძველზე სამხედრო სამსახურის ვალდებულებისაგან განთავისუფლდა 6 წვევამდელი. გადავადება 30-ე მუხლის საფუძველზე მიიღო 99 წვევამდელმა. 16 წვევამდელი ჩაირიცხა საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა დანაყოფებში. მათ შორის (თავდაცვაში ჩაირიცხა 10 წვევამდელი, , შსს (გდდ) 7 წვევამდელი) .

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თავდაცვის რეზერვში გადაირიცხა 83 რეზერვისტი, მათ შორის : ზღვრული ასაკის გამო 35, ავადმყოფობის გამო 15, სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოვლის გამო 33 . შედგენილია მათზე სააღრიცხვო და ანბანური ბარათები და განთავსებულია შესაბამის კარტოთეკაში.

სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში გაწვეულია 12 მოქალაქე, შედგენილია მათზე პირადი საქმე ორ ეგზემპლარად.

2020 წლის განვლილ პერიოდში მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულებიდან სასწავლო დაწესებულებებიდან, ორგანიზაციებიდან და წარმოებებიდან, სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად წარმოდგენილი სიების მიხედვით მოხდა 16 წელს მიღწეული ჭაბუკების აყვანა პირველად სამხედრო აღრიცხვაზე, საერთო ჯამით 74 ჭაბუკის. შეიქმნა თითოეულ მათგანზე პირადი საქმეები.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 იანვრის #62 დადგენილებისა და მუნიციპალიტეტის მერიის 05.02. 2020 წლის #49 228 ბრძანების საფუძველზე 2020 წლის 03 თებერვლიდან 30 ივლისამდე მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურმა აწარმოა მოქალაქეთა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის სამუშაოები.

მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურს 2020 წლის საგაზაფხულო გაწვევის პერიოდში სახელმწიფო გეგმა-დავალებით განუსაზღვრა 20 წვევამდელის ჩარიცხვა საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სამხედრო დანაყოფებში.

ქვეყანაში არსებული პანდემიის გამო საგაზაფხულო გაწვევის გეგმა-დავალება შეიცვალა და განისაზღვრა 9 წვევამდელის ჩარიცხვა საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა სამხედრო დანაყოფებში.

ჩატარებული მუშაობის შედეგად მუნიციპალიტეტის სამხედრო სამსახურმა საგაზაფხულო გაწვევის განვლილ პერიოდში მოახდინა რაიონულ გამწვევ კომისიაზე

117 წვევამდელის გამოცხადება. აქედან კანონის 29-ე მუხლის საფუძველზე სამხედრო სამსახურის ვალდებულებისაგან განთავისუფლდა 4 წვევამდელი. გადავადება 30-ე მუხლის საფუძველზე მიიღო 79 წვევამდელმა. 13 წვევამდელი ჩაირიცხა საქართველოს შეიარაღებული ძალების სხვადასხვა დანაყოფებში. მათ შორის: თავდაცვაში ჩაირიცხა 6 წვევამდელი, სუს 1 წვევამდელი , მსს (გდდ) 3 წვევამდელი , მსს (ოდდ) 1 წვევამდელი , სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში 2 წვევამდელი .

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თავდაცვის რეზერვში გადაირიცხა 52 რეზერვისტი, მათ შორის : ზღვრული ასაკის გამო 24, ავადმყოფობის გამო 12, სამხედრო სავალდებულო სამსახურის მოვლის გამო 16 . შედგენილია მათზე სააღრიცხვო და ანბანური ბარათები და განთავსებულია შესაბამის კარტოთეკაში.

სამხედრო საკონტრაქტო სამსახურში გაწვეულია 5 მოქალაქე, შედგენილია მათზე პირადი საქმე ორ ეგზემპლარად.